O-SGG-E-LT-2024-9-11/014535350

SOCAR GEORGIA GAS

SOCAR Georgia Gas LTD
ID 202403121
300 Aragveli Str. 24
Georgia, Tbilisi, 0144
Tel: 16 114
E-mail: socargas@socar.ge
www.mygas.ge
www.socargas.ge

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს

პირდაპირი მიყიდვისა და სასოფლო-სამეურნეო

დანიშნულების მიწის განკარგვის სამსახურის უფროსს

ქალბატონ ნინო სხირტლაძეს

№ O-SGG-E-LT-2024-9-11/01 11.09.2024

ქალბატონო ნინო,

ჩვენი კომპანიის მიერ განხილული იქნა 2024 წლის 5 სექტემბრის თქვენი, № 6/51175 წერილი, რომელიც ეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხში მდებარე 5735 კვმ სასოფლო-სამეურნეო(სახნავი) მიწის ნაკვეთის(ს/კ 43.10.43.437) პრივატიზაციის საკითხს. აღნიშნულ ტერიტორიაზე ფიქსირდება ჩვენი კომპანიის საკუთრებაში არსებული გაზსადენი, რის გამოც ითხოვთ ჩვენს პოზიციას. აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ აღნიშნულ ტერიტორიებზე გადის შპს " სოკარ ჯორჯია გაზის" გაზსადენი. ჩვენი კომპანია არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნებისმიერი ფორმით მესამე პირზე გადაცემა იმ პირობით, თუ ნაკვეთის მომავალ მფლობელსა და ჩვენს შორის გაფორმდება სერვიტუტის ხელშეკრულება (შეზღუდვის ზონა ორ-ორი მეტრი გაზსადენის ორივე მხარეს) ასევე ჩვენს კომპანიას ხაზოვანი ნაგებობით (გაზსადენის ქსელი ს/კ 43.00.123) სარგებლობისას ან/და განკარგვისას არ შეექმნება არანაირი სახის დაბრკოლება (მათ შორის ახალი მფლობელი არ მოითხოვს აღნიშნული ნაგებობის გადატანას ან/და რეკონსტრუქციას ჩვენს კომპანიასთან წინასწარი შეთანხმების გარეშე) და ახალი მფლობელი ვალდებული იქნება უზრუნველყოს ჩვენი კომპანიის მიერ, ნებისმიერ დროს, უსასყიდლოდ და შეუფერხებლად ხაზოვანი ნაგებობის დათვალიერება და მასზე საექსპლუატაციო სამუშაოების ჩატარება, დაცვის ზონისა და პერიმეტრის გათვალისწინებით.

პატივისცემით ,

ზაზა მღებრიშვილი

საავარიო-საექსპლუატაციო სამსახურის უფროსი